შესაძლებლობა ორივე მხარეს ჰქონდა

ლვოვი. სტადიონი “დრუჟბა”. 3 ივნისი.

“კარპატი” (ლვოვი) _ “დინამო” (თბილისი) _ 0:0.

“კარპატი”: კოვაჩი, გერეგი, პოტიჩნიაკი, ჟურავსკი, სიროვი, ბროვარსკი, დანილიუკი, სავკა, ხიჟაკი, პოკორა, ლიხაჩოვი.

“დინამო”: გოგია, გოგიჯანაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, პეტრიაშვილი, გავაშელი (რეხვიაშვილი), კუტივაძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

მსაჯი: ტ. ბახრამოვი (ბაქო).

დუბლიორები _ 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ. გოლი გაიტანა კრავჩენკომ.

ლვოველმა გულშემატკივრებმა კარგად იცოდნენ, რომ გარდა ნაკრებში გაწვეული ძოძუაშვილისა და ხურცილავასი, თბილისის “დინამოს” ტრავმის გამო აკლდნენ სხვა წამყვანი მოთამაშეებიც _ ხინჩაგაშვილი და მ. მაჩაიძე. ეს მასპინძელთა გუნდს გარკვეულ “ფორას” აძლევდა ამ ძნელ მატჩში ლიდერთან, თუმცა “კარპატისაც” აკლდა თავდასხმის ერთი ძირითადი წევრი _ კოზინკევიჩი (ისიც ნაკრებშია გაწვეული).

თბილისის “დინამოს ქომაგებმა შეიძლება გაიკვირვონ ეს ამბავი: სად ოთხი წამყვანი მოთამაშე და სად _ ერთი? რა შედარებაა! მაგრამ გაითვალისწინეთ “კარპატისა” და “დინამოს” საერთო რესურსები. ლვოველთათვის კოზინკევიცი დიდი ძალაა, ხოლო გამოცდილ თბილისელებს უფრო ძლიერი სათადარიგო მოთამაშეები ჰყავთ.

ახლა მხედველობაში მიიღეთ ის სატურნირო ვითარებაც, რომელშიც მეტოქეები იყვნენ ამ დღისთვის. თბილისის “დინამო” ლიდერია და თითოეულ ქულას მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ წარმოიდგინეთ “კარპატის” მდგომარეობა, რომელიც ჯერჯერობით გათამაშების ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა და, ამდენად, უმაღლესი ლიგიდან წასვლის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატიცაა. ეს გუნდს აიძულებს ყველაფერი იღონოს ახლავე, სანამ გვიან არაა. ქულები ლვოველებისთვის ოქროდ ფასობს.

მატჩს ძალიან ცუდი ამინდი დაესწრო. ხანგრძლივი წვიმის შემდეგ სათამაშო მინდორი ატალახდა. ტექნიკურად ძლიერ თბილისელებს გაცილებით მეტად უჭირდათ ამ პირობებში თამაში. ამან განსაკუთრებით იჩინა თავი პირველ ტაიმში, როცა მასპინძლებმა შეძლეს ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება. გოგიას პირველივე წუთებზე მოუხდა ძნელი ბურთის აღება ხიჟაკისგან, რამდენიმე სახიფათო კომბინაცია გაითამაშეს ლიხაჩოვმა და პოკორამ, შეტევებში აქტიურად მონაწილეობდნენ ნახევარმცველებიც.

ჩვენი აზრით, თავიანთ შესაძლებლობებზე ნაკლებად ითამაშეს გავაშელმა და კუტივაძემ, რაც “კარპატის” შუა მინდორში ინიციატივის საშუალებას აძლევდა.

თბილისელებმა მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება, სახიფათო მომენტები შექმნეს ყიფიანმა და გუცაევმა (ამ უკანასკნელთან ბრძოლაში ხშირად მიმართავდა აკრძალულ ხერხებს სიროვი, რისთვისაც გაფრთხილებაც მიიღო მსაჯისგან). და მაინც, პირველი 45 წუთი “კარპატისა” იყო. დინამოელთა მცველებს საკმაო ჯაფა დაადგათ.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა საგრძნობი გარდატეხა შეიტანეს თამაშში. არაერთი ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა კოვაჩს, კერძოდ, მე-60 წუთზე მან თავისი გუნდი აშკარად იხსნა ყიფიანის დარტყმის შემდეგ. ლვოველებს მხოლოდ კონტრშეტევები დარჩათ და ერთ-ერთი იერიშის დროს კანთელაძეს გაფრთხილება მიეცა უხეში თამაშისთვის.

კიდევ უფრო გაძლიერდა დინამოელთა იერიშები მას შემდეგ, რაც მინდორზე რეხვიაშვილი გამოვიდა გავაშელის ნაცვლად. რეხვიაშვილი წინადღით დუბლიორთა მატჩში ორივე ტაიმში იყო მონდორზე და, მიუხედავად ამისა, მაშინვე სრული ძალით ჩაება თამაშში.

საბოლოოდ, ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ბურთის გატანა.

ლეპეკი.
“ლელო”, 6 ივნისი, 1972 წ.